წარმატების სტრატეგიები სურსათის მიწოდების მოკლე ჯაჭვებში: შემთხვევების ანალიზი პოლონეთიდან, ჩეხეთიდან და სლოვაკეთიდან

თარიღი: 15 ივლისი, 2026
დრო: 16:00
შეხვედრის ადგილი: შპს აგროსერვისი, თელავი, შალაური

ვიწვევთ ფერმერებს საგანმანათლებლო სემინარზე, რომელიც ეძღვნება საოჯახო მეურნეობების გაძლიერებას და მათი ბიზნესის გაუმჯობესებას სურსათის მიწოდების მოკლე ჯაჭვების (SFSC) დანერგვის გზით. ღონისძიება ორგანიზებულია Visegrad+-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „საოჯახო მეურნეობები სურსათის მიწოდების მოკლე ჯაჭვებში: გამოცდილების ტრანსფერი ჩეხეთიდან, სლოვაკეთიდან და პოლონეთიდან“ ფარგლებში, რომელსაც კოორდინირებას უწევს მენდელის უნივერსიტეტი ბრნოში.

პროექტის შესახებ:
მცირე საოჯახო მეურნეობები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესანარჩუნებლად, თუმცა ისინი სერიოზულ ზეწოლას განიცდიან სურსათის მიწოდების გლობალური, გრძელი ჯაჭვებიდან. ასეთ სიტუაციებში მწარმოებლებს მოლაპარაკების შედარებით სუსტი ძალა აქვთ და მნიშვნელოვნად დაბალია მათი მოგების მარჟა.
სემინარის დროს წარმოდგენილი იქნება ცენტრალურ ევროპაში ფერმების მიერ სურსათის მიწოდების მოკლე ჯაჭვების უკვე აპრობირებული საუკეთესო პრაქტიკები კანვას ბიზნეს მოდელის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს ვიზუალური მართვის უაღრესად პრაქტიკულ ინსტრუმენტს. მოდელი შექმნილია ფერმის რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის, შემოსავლისა და მოგების სტაბილური წყაროების უზრუნველყოფის მიზნით.
პროექტის წევრები თესაუდან წარმოადგენენ პოლონეთში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში არსებული სურსათის მიწოდების მოკლე ჯაჭვების წარმატებული შემთხვევების ანალიზს.

ასოც. პროფ., დოქტორი ლევან შავაძე, ექსპერტი
დოქტორი მაკა კოჭაური, მთარგმნელი
დოქტორი თამარ ასლანიშვილი, პროექტის მენეჯერი
საკონტაქტო ელ.ფოსტა: levan.shavadze@tesau.edu.ge

Visegrad Fund

MENDELU
Faculty of Regional Development and International Studies